

899.90.1093

ჩ...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლელა ჩოგოვაძე

„ამირანდარეჯანიანის“ ბალექსილი ვერსია

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ თ რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2004

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ლავით ბრეზაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.01)

სამეცნიერო კონსულტანტი: **ოპარ ბგვტაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

ოფიციალური ოპონენტები: 1. **ხვთისო ზარიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.01)

2. **ბელა ბალხაშიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის „21“ I“
„14.00“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.10.No4) სადისერტაციო საბჭოს სნდომაზე.
მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჯავახიშვილის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის „25 X1“

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ.

 ნოდარ ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია. „ამირანდარეჯანიანი“ საკმაოდ პოპულარული ნაწარმოები იყო. საუკუნეთა მანძილზე ქართველი მკითხველის ინტერესი „ამირანდარეჯანიანისადმი“ არ განელებულა, რისი უტყუარი საბუთია ის, რომ XVII საუკუნის 60-70-იან წლებში სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებმა მთლიანად გალექსეს მ. ხონელის თხზულება. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის გალექსილ „ამირანდარეჯანიანსა“ და მის ავტორებს, რადგან თანიაშვილებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ისტორიაში და აღორძინების ხანის მნიშვნელოვანი ქართველი მოღვაწეების (არჩილ მეფე, დავით გურამიშვილი) სიმპათიები დაიმსახურეს.

კვლევის საბანი და მიზანია, შევისწავლოთ და გამოვავლინოთ სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილების მხატვრული აზროვნების სპეციფიკა; სხვა დამატებითი მასალით შევაგსოთ თანიაშვილთა ბიოგრაფიის შესახებ არსებული ცნობები; დავადგინოთ, რომელი ტიპის პროზაული ხელნაწერი გალექსეს თანიაშვილებმა; შევადაროთ ერთმანეთს პროზაული და გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“; გავარკვიოთ გამლექსავების სარწმუნოებრივი მრწამსი; წარმოვაჩინოთ რუსთველის გავლენა პოემაზე; შევაფასოთ თანიაშვილების პოეტური ოსტატობის ხარისხი.

ნაშრომის მიცნირული სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ მიიჩნევა ის, რომ იგი პირველი ცდაა სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილების მხატვრული აზროვნებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ მთლიან ასპექტში წარმოდგენისა. რაკი წინამდებარე გამოკვლევა ამ ასპექტით კვლევის პირველი ცდაა, ცხადია, სიახლითაც ხასიათდება. იგი ახალი კუთხით წარმოაჩენს თანიაშვილების შემოქმედების ამა თუ იმ მოტივს, თემას, ასპექტს. ნაშრომში ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით თავმოყრილია სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილების ბიოგრაფიის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ყველა მასალა; ერთმანეთთანაა შედარებული პროზაუ-

9561